



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



21.02.2014

№ 7

სარჩევი

საქართველო.....	3
კახეთის მაგისტრალური გაზსადენის "რუსთავი-საგარეჯოს" 25კმ-იანი მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო.....	3
რეგიონი	4
TANAP-ი საკუთარი კაპიტალით დაფინანსდება	4
აზერბაიჯანი მიზნად ისახავს, ნავთობის მოპოვება 45 მილიონ ტონამდე გაზარდოს	5
SOCAR -მა რუსულ „ტრანსნეფტან“ ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე ახალი შეთანხმება გააფორმა.....	6
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები	6
2015 წელს რუსეთი ელ.ენერგიაზე ფასებს ზრდის	6
Uzbekenergo ჩარვაკის ჰესის განახლებას 2015 წელს დაასრულებს.....	8
Gazprom-ი დარწმუნებულია „სამხრეთის ნაკადის“პროექტში.....	9
ევროკავშირი	9
სერბეთის ნახშირის წარმოებამ 2012 წლის მაჩვენებელს გადაუსწრო.....	9
ლიტვაში ენერგიაზე ფასები სტაბილურდება	10
Statoil-ი ევროკავშირის ბაზარზე მოსარგებად გაზით ვაჭრობას ნავთობთან აერთიანებს	11
მსოფლიო.....	12
კოლუმბიას ნავთობი 2020 წელს გაუთავდება	12
სამხრეთ აფრიკა ენერგო კრიზის განიცდის.....	13
ირანი 400 მილიარდი ბარელი ნავთობისა და გაზის მარაგებს ფლობს	14
ანალიტიკა	15
თურქეთის ოცნება გახდეს ბუნებრივი აირით ვაჭრობის კვანძი რეალისტურია - კვლევა	15

კახეთის მაგისტრალური გაზსადენის „რუსთავი-საგარეჯოს“ 25კმ-იანი მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ მაგისტრალური გაზსადენების სისტემის კახეთის განშტოების „რუსთავი-საგარეჯოს“ 25კმ-იანი მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კომფორტმშენ XXI“ აწარმოებს.



საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
Georgian Oil & Gas Corporation

სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის სექტემბერშია დაგეგმილი.

300 მმ-იანი დიამეტრის გაზსადენის მონაკვეთის მშენებლობის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება მთლიანად კახეთის რეგიონის უწყვეტი გაზმომარაგება ე.წ. წრიული მიწოდების სისტემის გამოყენებით.

კახეთის რეგიონს საბჭოთა პერიოდში გაზი „რუსთავი-თელავის“ გაზსადენით მიეწოდებოდა. 1990-იან წლებში გაზის დანაკარგების გაზრდის გამო კახეთის გაზმომარაგება შეწყდა და დაიწყო მილების დატაცება. ამ პერიოდში მთლიანად გაიძარცვა „რუსთავი-თელავის“ გაზსადენის „რუსთავი-საგარეჯოს“ 25კმ-იანი მონაკვეთი.

კახეთის რეგიონი დღემდე ბუნებრივ აირს მხოლოდ ჟინვალის მხრიდან იღებს. ამ ეტაპზე, დღის წესრიგში დგას კახეთის გაზმომარაგების სისტემის სრულყოფა და მილსადენების ფუნქციონირების საიმედოობის ამაღლება.¹

¹<http://gogc.ge/ge/page/kaxetis-magistraluri-gazsadenis-rustavi-sagaredjos-25km-iani-monakvetis-agdgeniti-samushaoebi-daiwyo>

TANAP-ი საკუთარი კაპიტალით დაფინანსდება

როგორც ერთ-ერთმა აღმასრულებელმა აქციონერმა აღნიშნა, ტრანსანატოლიური გაზხადენის (TANAP), რომელმაც ბუნებრივი აირი აზერბაიჯანიდან თურქეთის ტერიტორიის გავლით უნდა გაიტანოს, პარტნიორები არ აპირებენ საბანკო სესხების გამოყენებას ინვესტიციების დასაფინანსებლად. ეს თანხა ჯამში დაახლოებით 10-12 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

„მთლიანი პროექტი საკუთარი კაპიტალით დაფინანსდება და მისი საინვესტიციო ღირებულება სავარაუდოდ 10-12 მილიარდი აშშ დოლარი იქნება“, - აღნიშნა Socar Turkey-ს პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა სამი ქერიმლიმ.



კასპიის სტრატეგიების ინსტიტუტის მიერ TANAP-თან დაკავშირებით ორგანიზებული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტების კითხვებზე პასუხისას ქერიმლიმ განაცხადა, რომ პროექტის დაჩქარების მიზნით, საწყისი ინვესტიციების განხორციელება აქციონერების კაპიტალით მოხდება

მან ხაზი გაუსვა, რომ აქციონერები ბანკების მონაწილეობის წინააღმდეგი არ არიან და პროექტის გარკვეულ ეტაპამდე განხორციელების შემდეგ, შესაძლოა მათთან მოლაპარაკებები დაიწყოს.

ამჟამად Socar-ი TANAP-ის პროექტის, რომლის მშენებლობაც თურქეთ-საქართველოს საზღვრიდან თურქეთის ევროპასთან საზღვრამდე იგეგმება, 70%-ს ფლობს, ხოლო თურქეთი - 30%-იან წილს.

ბრიტანული ენერჯოგოგანტი BP, რომელიც „შაჰ დენიზ 2“-ის კონსორციუმის გაზის ერთ-ერთი მომწოდებელია, აპირებს შეისყიდოს Socar-ის მიერ კონტროლირებადი წილის 12%.

თურქეთის სახელმწიფო მილსადენის კომპანია BOTAŞ-ი იძულებული იქნება საკუთარი კაპიტალიდან 3-დან 3.6 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიღოს.²

აზერბაიჯანი მიზნად ისახავს, ნავთობის მოპოვება 45 მილიონ ტონამდე გაზარდოს

როგორც აზერბაიჯანის ენერჯეტიკის მინისტრმა ნატიგ ალიევმა პარასკევს კასპიურ-ევროპული კლუბის (CEIBC) წევრ კომპანიებთან შეხვედრამდე განაცხადა, პროგნოზების თანახმად 2014 წლისათვის აზერბაიჯანში 43 მლნ.ტონა ნავთობს მოიპოვებენ.

„აზერბაიჯანის ძირითად მიზანს წარმოადგენს, მოპოვების სტაბილური მოცულობების შენარჩუნება 40-45 მლნ. ტონის დონეზე და ამისათვის ყველა საჭირო სამუშაო ხროციელდება“, - აღნიშნა ალიევმა.

მინისტრის თქმით, გასულ წელს პროგნოზირებული იყო 41 მლნ.ტონაზე ოდნავ მეტი ნავთობის წარმოება, მაგრამ ფაქტიურმა მოცულობამ 43მლნ.ტონას გადააჭარბა.



მოპოვებული ნავთობის ძირითადი მოცულობა მოვიდა „აზერი-ჩიგარ-გიუნემლის“ ნავთობსა და „შაჰ დენიზის“ გაზოკონდენსატის საბადოებზე, რომელთა დამუშავება უცხოელ პარტნიორებთან ერთად მიმდინარეობს.

გაზის მოპოვების მოცულობებთან დაკავშირებით ალიევმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში აზერბაიჯანმა დიდ შედეგებს მიაღწია და გასულ წელს მოპოვების მოცულობამ 29 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა. მისი აზრით, მომავალ წელს ეს მაჩვენებელიც გაიზრდება.³

²<http://www.hurriyetdailynews.com/tanap-to-be-financed-by-shareholder-equity.aspx?pageID=238&nID=62500&NewsCatID=348>

³<http://www.trend.az/capital/energy/2244842.html>

SOCAR -მა რუსულ „ტრანსნეფტთან“ ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე ახალი შეთანხმება გააფორმა

SOCAR-მა რუსულ „ტრანსნეფტთან“ ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირებაზე ახალი შეთანხმება გააფორმა.

„აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ინფორმაციით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად აღნიშნული მარშრუტით ნავთობის გადაზიდვის აღდგენაზე



ახალი შეთანხმება ორივე მხარისათვის მომგებიანი კომერციული პირობების გათვალისწინებით შედგა,“ - წერს სააგენტო Trend.az.

როგორც SOCAR-ი აცხადებს რუსეთის ტერიტორიის გავლით ნავთობის გადაზიდვის აღდგენა აზერბაიჯანს შესაძლებლობას აძლევს გააფართოვოს მსოფლიო ბაზარზე აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტირების მარშრუტები.

აღსანიშნავია, რომ ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით აზერბაიჯანმა 2013 წელს 1.75 მლნ ტონა ნავთობის ექსპორტირება მოახდინა, 2012 წელს კი - 2.06 მლნ ტონის.

გასული წლის ბოლოს კი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსულმა მხარემ ნავთობის ტრანსპორტირებაზე მიღწეული სამთავრობო შეთანხმება შეწყვიტა.⁴

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

2015 წელს რუსეთი ელ.ენერგიაზე ფასებს ზრდის

რუსეთის ფედერალურმა მთავრობამ 2015 წლის ელ.ენერგიის ფასების დაწესების გეგმა განსაზღვრა, თუმცა მიმდინარე 2014 წელს მთავრობის განკარგულებით ენერგიის ფასები ერთ დონეზე გაიყინება. დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, მთავრობამ 2014 წელს ინდუსტრიული სექტორისათვის ფასების ზრდა შეაჩერა. პრემიერის ცნობით, ენერგიაზე ფასების ზრდა ინფლაციის დონით იქნება ლიმიტირებული. მანვე გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფასების მარეგულირებელი პოლიტიკა უნდა იყოს პროგნოზირებადი და გამჭვირვალე.

⁴ <http://news.boom.ge/geo/11/20140219/3490907/>

რუსეთის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2013 წელს ქვეყნის ინფლაციის დონე 6.5%-ს შეადგენდა. მედვედევა და ეკონომიკის მინისტრმა ალექსეი ულიუკაევმა პროგნოზირებად ფასებზე დაყრდნობით შედგენილ ელ.ენერჯის მიწოდების გრძელვადიან ხელშეკრულებებს მხარი დაუჭირეს. მათი თქმით, ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის ფასების სუბსიდირება, რომელიც ინდუსტრიული მომხმარებლების ხარჯზე ხდება, ჯერ კიდევ ეკონომიკური განხილვის საკითხად რჩება.



მედვედევა ამავე შეხვედრაზე შენიშვნა გააკეთა „არაკონტროლირებად“ და „უსამართლო“ ფასების ზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ იქვე გაიმეორა ის დაპირება, რაც „სოციალური მოხმარების ნორმებს“ ეხება. „სოციალური ნორმების“ შესახებ პრემიერის კაბინეტში შეხვედრა 31 იანვარს გაიმართა. ამ ნორმების შემოღება საჭირო გახდა იმისათვის, რათა სექტორებშორის სუბსიდირების ლიმიტირება მოხდეს. ეს უკანასკნელი წახალისებს ენერჯო დამზოვი ტექნოლოგიების გამოყენებას და ინდივიდუალური მომხმარებლების უმეტესობას ელ.ენერჯიაზე დაბალი ფასების გარანტიას მისცემს.

შეხვედრაზე განიხილეს საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც რუსეთის 6 რეგიონში მოხდება „სოციალური ნორმების“ დაწესება. აღნიშნული პროექტის მიხედვით დადგინდა, რომ ელ.ენერჯის ფასები „სოციალური ნორმის“ ფარგლებში შემცირდა 3%-ით, ხოლო ფასები აღნიშნული ნორმის ზღვარს ზემოთ - 7.5%-ით გაიზარდა. ოფიციალური პირების განცხადებით, უკანასკნელი მაჩვენებელი 40%-ზე მეტად არ გაიზარდება.

მიმდინარე თვის დასაწყისში რუსეთის ფედერალურმა მთავრობა გამოსცა №95 ბრძანება, რომლის მიხედვითაც გაადვილდა მომხმარებლების მიერთება ელ.ენერჯის

ქსელთან. ახალი რეგულაციის მიზანია დაიცვას მომხმარებელი ელ.ენერჯის მიწოდებლბთან დაკავშირების დისკრიმინაციული პირობებისგან.⁵

Uzbekenergo ჩარვაკის ჰესის განახლებას 2015 წელს დაასრულებს

კომპანია Uzbekenergo-ს განცხადებით, ჩარვაკის ჰესის მოდერნიზაციის სამუშაოები, რომელსაც რუსული ტექნიკა ახორციელებს, 2 წელში დასრულდება. მათი განცხადებით, ეს პროცესი სავარაუდოდ 2015 წლის ბოლოსათვის უნდა დასრულდეს, თუმცა სხვა დეტალებზე საუბარი ჯერ-ჯერობით არ ყოფილა. მოდერნიზების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია და საჭირო მოწყობილობების ნაწილი ჰიდროელექტროსადგურისთვის მიწოდებულია. აღნიშნულ სამუშაოებს რუსული კომპანია ახორციელებს, რომელმაც ტექნიკის მობილიზება დაასრულა და 155 მგვტ. სიმძლავრის ტურბინის აწყობას თებერვლის ბოლომდე დაიწყებს.



პროექტი 3 ეტაპად განხორციელდება და ელექტროსადგურის 1-ელ, მე-3 და მე-4 გენერაციის ბლოკების მოდერნიზებას მოიცავს. თითოეული ბლოკის სიმძლავრე 155 მგვტ-დან 175 მგვტ-მდე გაიზრდება. გაფართოების შედეგად, ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება წლიურად 120 მლნ.კვტ.სთ-ით გაიზრდება.

2012 წელს პროექტის შემსრულებელმა რუსულმა კომპანიამ მოდერნიზაციის ხელშეკრულებას Uzbekenergo-ს შვილობილ კომპანია „ულტრა-ჩირჩიკ ჰესების კასკადთან“ მოაწერა ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 155 მგვტ. სიმძლავრის ჰიდრო ტურბინების განახლებას, ახალი სტატორების, როტორებისა და სხვა ახალი ელექტრო სისტემების დამონტაჟებას.⁶

⁵ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 701, 19 February 2014 Russia to increase electricity prices in 2015

⁶ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 701, 19 February 2014, Uzbekenergo sees Charvak HPP upgrade finished by end of 2015

Gazprom-ი დარწმუნებულია „სამხრეთის ნაკადის“ პროექტში

როგორც 20 თებერვალს Gazprom-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ევროპაზე გამავალი „სამხრეთის ნაკადის“ მილსადენი, რომელიც რუსული გაზით უნდა მომარაგდეს, რეგიონის ენერგოსაფრთხოების გეგმის ნაწილს წარმოადგენს.



„სამხრეთის ნაკადი“ წარმოადგენს Gazprom-ის ძალისხმევის ნაწილს ევროპაში გაზის მიწოდების სექტორის დივერსიფიცირებაში. ევროპისაკენ მიმართული რუსული გაზის ძირითადი ნაწილი გადის უკრაინაზე საბჭოთა დროინდელ გადაცემის სისტემაში და იქ განვითარებული გეოპოლიტიკური მოვლენები ძველ მარშრუტებს Gazprom-ისა და ევროპელი მომხმარებლებისათვის სარისკოს ხდის.

როგორც გაზპრომში პროექტის ხელმძღვანელმა ლეონიდ ჩუგუნოვმა აღნიშნა, პროექტი კონკურენტებს ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს.

„ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ პროექტის კონკურენტუნარიანობსა და ეკონომიკურ ეფექტურობაში“, - აღნიშნა მან სამშბათს გაკეთებულ განცხადებაში. „ჩვენ გვაქვს მსგავსი სამშენებლო პროექტების განხორციელების მდიდარი რესურსული ბაზა, აუცილებელი სახსრები და გამოცდილება“.⁷

ევროკავშირი

სერბეთის ნახშირის წარმოებამ 2012 წლის მაჩვენებელს გადაუსწრო

სერბეთის ქვანახშირის ყველაზე დიდმა მომპოვებელმა კომპლექსმა Kolubara-მ 2013 წელს 30.7 მლნ. ტონა ქვანახშირი მოიპოვა, გადააჭარბა 2012 წლის მაჩვენებელს (29.6 მლნ.ტ.) და საპროგნოზო მოცულობა 2.46%-ით ჩამოიტოვა. წარმოების ზრდა ძირითადად გამოიწვია Tamnava Zapadno Polje-ს ღია საბადოზე გაზრდილმა მოპოვებამ, რამაც 14.6 მლნ.ტონა შეადგინა. Kolubara-ს კიდევ ერთ ღია საბადოზე Polje B-ზე მოპოვება 2.7 მლნ. ტ. იყო, Polje D-ზე - 8.8 მლნ.ტ., ხოლო Veliki Crljeni-ზე - 4.6 მლნ.ტ.

ამავე პერიოდში Kolubara-ს კომპლექსმა 69.2 მლნ.ტ. ქვანახშირის ნარჩენი აწარმოა. Kolubara-ს კომპლექსი წარმოადგენს სერბეთის ენერგო კომპანია EPS-ის შვილობილს და

⁷<http://www.oilandgaseurasia.com/en/news/gazprom-confident-about-south-stream-pipeline-project#sthash.bys2VCcB.VS9mkYMA.dpuf>

ამ უკანასკნელის ქვანახშირის წარმოების 70% სწორედ მასზე მოდის. აღნიშნული ქვანახშირით ხდება 20 მლრდ.კვტ.სთ ელ.ენერჯის გამომუშავება, რაც ქვეყნის მთლიანი გენერაციის 52%-ს შეადგენს. Kolubara-ს კომპლექსის რეზერვების მოცულობა 2.2 მლრდ.ტ-ით არის შეფასებული.⁸

ლიტვაში ენერჯიაზე ფასები სტაბილურდება

გასულ წელს ლიტვაში ენერჯიაზე ფასები „ელვის სისწრაფით“ იზრდებოდა, თუმცა 2014 წელს ეს პროცესი შენედა. 2013 წლის ივლისის შუა რიცხვებში ელ.ენერჯიაზე საშუალო ფასები 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 10%-ით შემცირდა. თუმცა 2013 წელს ყოველ 1 კვტ.სთ. ელ.ენერჯიაზე საშუალო ფასი საგრძნობლად დიდი იყო ვიდრე 2012 წელს. „აღნიშნული მოვლენა ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ არ არსებობდა კავშირი სკანდინავიის ქვეყნებთან და ესტონეთი-ლიტვის დამაკავშირებელ ხაზზე ენერჯის გადაცემის შეზღუდვები იყო.



სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვია ფასების ამგვარი ზრდა. ფასების ცვლილება უნდა აიხსნას ენერჯიაზე მოთხოვნის სეზონურობით. ზაფხულის პერიოდში შიდა ბაზარზე ჩვეულებრივ მაღალი ფასებია, რადგან ადგილობრივი გამომუშავების ფასები ამ პერიოდში ასევე მაღალია. ამ სიტუაციის დარეგულირება შესაძლებელი გახდება ახალი გადამცემი ხაზების LitPol-ისა და NordBalt-ის ექსპლუატაციის შემდეგ“ - კომპანია Enefit-ის დირექტორმა არტურას სივოკასმა NewsBase-თან საუბრისას განაცხადა.

2013 წელს ლიტვაში წლიური საბითუმო ფასი ელ.ენერჯიაზე 0.07 ცენტი/კვტ.სთ დაფიქსირდა, რაც 9.6%-ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით. 2013 წელს ქვეყანამ 7 983

⁸ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 701, 19 February 2014, Serbian coal producer tops 2012 output

გვტ.სთ ელ.ენერგია შეისყიდა, რაც ბალტიის რეგიონში მოხმარებული ენერჯის 73%-ს შეადგენდა.

2014 წელს ფასები შემცირდა გადაცემისა და დისტრიბუციის ტარიფების შემცირებისა და ნაკლები სოციალური ვალდებულებების შედეგად. მიმდინარე წელს ელ.ენერჯის ფასები მოსახლეობისათვის 0.08-0.12 აშშ. ცენტით შემცირდა.⁹

Statoil-ი ევროკავშირის ბაზარზე მოსარგებად გაზით ვაჭრობას ნავთობთან აერთიანებს

ნორვეგიული კომპანია Statoil-ი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ყიდვა-გაყიდვასთან გაზით ვაჭრობის ოპერაციების გაერთიანებას გეგმავს. „ევროპის გაზის ბაზარი, რომელიც დამყარებული იყო გრძელვადიან კონტრაქტებსა და ნავთობის ფასების ინდექსირებაზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა და უფრო ლიკვიდური გახდა. ბაზარზე უფრო ძლიერი კონკურენცია და მეტი მოთამაშე გაჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა სხვადასხვა ოპერაციების ხარჯების სინერგია და ეფექტურობის გაუმჯობესება“ - აცხადებს კომპანიის მარკეტინგის ვიცე პრეზიდენტი ელდარ საეტრე.



Statoil-ი ისეთი ევროპული ენერჯო კომპანიების მოთხოვნების ადაპტირებას ახდენს, როგორცაა RWE AG, რომელიც ცდილობს „დაანგრიოს“ ის ტრადიცია, რაც გაზის ფასების ნავთობთან დაკავშირებას გულისხმობს. ეს 40 წლიანი სისტემა მანამდე ჩამოყალიბდა, სანამ ევროპული გაზის ბაზარზე სწრაფი მიწოდების სისტემები განვითარდებოდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ენერჯო კომპანიები დანაკლისს განიცდიდნენ, რადგან გაზი უფრო იაფი გახდა, ხოლო ნავთობი კი პირიქით - შედარებით გაძვირდა.

ევროპის საბითუმო გაზის ვაჭრობის თითქმის ნახევარი ნავთობთან დაკავშირებული საფასო ინდექსით ხორციელდება, რაც 2008 წლამდე არსებულ ფინანსურ კრიზისამდე პერიოდთან შედარებით 100%-ით არის გაზრდილი.¹⁰


⁹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 701, 19 February 2014, Lithuanian power price stabilises

¹⁰ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=2172cee5-2503-4b9a-b60a-94d770587256>

კოლუმბიას ნავთობი 2020 წელს გაუთავდება

კოლუმბიის მთავრობა მწვავე ეკონომიკური პრობლემების წინაშეა - იზრდება უმუშევრობა, მცირდება ექსპორტი და რაც ყველაზე საგანგაშოა, მომდევნო 6 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ნავთობის რეზერვების ამოწურვა, რაც დამატებით პრობლემებს შექმნის, რადგან კოლუმბიის ექსპორტის უდიდესი ნაწილი ნავთობზე მოდის.

კოლუმბია 2014 წლის თებერვლის მდგომარეობით 2.2 მილიარდი ბარელი



ნავთობის რეზერვს ფლობს და ამ მაჩვენებლით ის მეხუთეა სამხრეთ ამერიკაში. 2004 წლის შემდეგ კოლუმბიამ საგრძნობლად გაზარდა ნავთობის ექსპორტი (დაახლოებით 77%-ით). მიმდინარე წლის გეგმა კი დღეში 1.2 მილიონი ბარელის წარმოებაა, რაც ძირითადად ისევ საექსპორტოდ იქნება განკუთვნილი. კვლევების მიხედვით გამოაშკარავდა, რომ კოლუმბიაში

მოპოვებული ყოველი 3.3 ბარელი ნავთობიდან მხოლოდ ერთი რჩება ქვეყანაში.

BP-ის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, თუ ქვეყანაში არსებული წარმოების დონე შენარჩუნდება, 6 წელიწადში რეზერვები გათავდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კრიზის ფონზე მიუღებელია წარმოების ასეთი ზრდა და რეზერვების გათავება, რადგანაც მომავალში ის უფრო მწვავე პრობლემებს შექმნის. „კოლუმბია არ არის ვენესუელა, სადაც დღეში ამჟამინდელი 2.7 მილიონი ბარელის წარმოება 250 წელზე მეტ ხანს გასტანს,“ - აცხადებენ ისინი.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მათ შორის კოლუმბიაშიც, ძირითადად დაბალი ხარისხის, გოგირდის მაღალი შემცველობის მქონე მძიმე ნავთობი მოიპოვება. ასეთი ნავთობის ფასი დაბალია მსოფლიო ბაზარზე, რადგან მას უფრო რთული გადამუშავების პროცესი აქვს. სწორედ ამით ხსნიან კოლუმბიაში ნავთობპროდუქტების სიძვირეს. მიუხედავად იმისა, რომ კოლუმბია ნავთობის წმინდა ექსპორტიორი ქვეყანაა, ნავთობპროდუქტების საშუალო შიდა ფასები უფრო დიდია, ვიდრე არგენტინის, ბრაზილიის, ჩილეს, მექსიკის და აშშ-ს საშუალო ფასები.

უცხოელი ეკონომისტების აზრით, პრობლემების დასაძლევად საჭიროა რადიკალური ცვლილებები. პირველ რიგში კი საკუთარი რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი და ფასების დარეგულირება, წინააღმდეგ შემთხვევაში 2020 წლისთვის მწვავე კრიზისი გარდაუვალია.¹¹

სამხრეთ აფრიკა ენერგო კრიზისი განიცდის

სამხრეთ აფრიკის ეკონომიკა, რომელიც უდიდესია აფრიკაში, სახელმწიფო ელექტროენერგეტიკული კომპანია Eskom-ში არსებული კრიზისის გამო მწვავე პრობლემების წინაშეა. ექსპერტების აზრით, მენეჯმენტში კომპანიისა და სახელმწიფო დონეზე მრავალი პრობლემაა და უახლოეს პერიოდში გაუმჯობესების მცირედი პერსპექტივის გამო საჭიროა ატომური ენერჯის ან ფიქალის რესურსის გამოყენების ათვისების დაწყება.

2005 წლამდე სამხრეთ აფრიკას უწყვეტი და იაფი ენერჯია ქონდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო ელექტროენერჯის გათიშვები და წარმოების შემცირება. ახალი სიმძლავრეებისა და პროექტების



დასრულება დაგვიანდა. კეიპ ტაუნის უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ტარიფები 2007 წლის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო ელ. ენერჯის მიწოდე კი გაუარესდა. ამის გამო მოსახლეობას პიკურ პეროდებში მოხმარების შემცირებისკენ მოუწოდებენ. უფრო მეტიც, წინა წელს მთავრობამ მეტალურჯიაში დიდ მოხმარებლებს წარმოების 3 თვით შეწყვეტა თხოვა ზარალის ანაზღაურების პირობით.

პრობლემები მოძველებული სადგურების გამო წარმოიშვება, რომელთაგანაც ზოგიერთი ჯერ კიდევ აპარტიდის დროს არის აშენებული. სამხრეთ აფრიკის ენერგო სექტორის განვითარებას შეზღუდული ვადები აფერხებს. ამჟამად მიმდინარეოს სამი ნახშირზე მომუშავე თბოსადგურის მშენებლობა, რომლებიც დამატებით 17 000 მგვტ. დადგმულ სიმძლავრეს შემატებენ სისტემას, სადაც დღეისათვის 40 000 მგვტ. დადგმული სიმძლავრეა.

წინა კვირას პრეზიდენტმა იაკობ ზუმამ განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკა 9600 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრის ატომური ენერგოსადგურების მშენებლობას გეგმვას, მაგრამ არ დაუკონკრეტებია რა პერიოდში. ენერგოკრიზისმა დაგეგმილი

¹¹ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=78c6374c-2d1a-4bfa-a390-2b24cbf91347>

ეკონომიკური ზრდა 3.5%-დან 1.9%-მდე შეამცირა. ექსპორტიორების ზარალმა კი 165 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

ექსპერტების აზრით, სამხრეთ აფრიკას არ უნდა დაავიწყდეს ენერჯიაზე ფასების ზრდის ფაქტორი. წინა წელს ელ. ენერჯის ტარიფი 8 აშშ ცენტით გაიზარდა. ასეთ პირობებში ენერგოინტენსიური მრეწველობის კომპანიები იძულებული გახდებიან დატოვონ სამხრეთ აფრიკული ბაზარი, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ეკონომიკის მდგომარეობას.¹²

ირანი 400 მილიარდი ბარელი ნავთობისა და გაზის მარაგებს ფლობს

„ირანის ნავთობისა და გაზის რეზერვები შეფასებულია 400 მილიარდ ბარელად,“ - ამის შესახებ ირანის ნავთობის მინისტრის მოადგილემ განაცხადა. მან ასევე აღწინა, რომ



ირანი OPEC-ის ქვეყნებს შორის მეორე ადგილზე იყო ნავთობის მოპოვებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ 2 წელს როდესაც დასავლეთის სანქციები მოქმედებდა. ამ სანქციების გამო დღიური წარმოება 3.7 მილიონ ბარელამდე დაეცა.

ირანის მთავრობა იმედოვნებს, რომ ირანსა და დასავლეთს შორის ბოლო დროინდელი მოლაპარაკებების შემდეგ ირანის ბირთვულ პროგრამაზე მიაღწევს შეთანხმებას და ირანი მომავალში

დასავლეთის ენერჯო კომპანიებთან თანამშრომლობას შეძლებს.

ირანის ნაციონალურმა ნავთობის კომპანიამ განაცხადა, რომ შარშან მათ 552 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობი და გაზი აღმოაჩინეს. მათივე განცხადებით სამშობრო სამუშაოებში 229 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. ირანული კომპანიის მონაცემებით, წინა წელს მათ დამატებით 1.891 მილიარდი ბარელი ნავთობი და 338 მილიარდი კუბური ფუტი ბუნებრივი აირის რეზერვები აღმოაჩინეს.

ირანის ნავთობის ეროვნული კომპანიის აღმოჩენების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ აღმოჩენების დასაჩქარებლად მათ სამშობრო სამუშაოები დამატებით 94 ბლოკში დაიწყეს.¹³

¹² <http://energy.einnews.com/article/191131204/daVKItSdJNHIP7KS?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE>

¹³ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=d2f7d4a3-dc21-4c42-ab2c-38523a32a911>

თურქეთის ოცნება გახდეს ბუნებრივი აირით ვაჭრობის კვანძი რეალისტურია - კვლევა

როგორც ოქსფორდის მიმდინარე წლის 10 თებერვლის კვლევაში აღნიშნული, თურქეთის ხედვა, გახდეს ბუნებრივი აირით ვაჭრობის კვანძი, მისი მიმწოდებლების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რეალისტურია, მაგრამ ეს საჭიროებს ბაზრის რეფორმების დაჩქარებას და ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურაში მეტი სახსრების ჩადებას.



თურქეთს უკვე დიდი ხანია სურს ჰქონდეს ენერგეტიკისა და ბუნებრივი აირის დიდი ბაზარი, აპელირებს რა ზრდად შიდა მოთხოვნაზე და იაფი ბუნებრივი აირის წყაროების სიახლოვეზე.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი რესურსი მცირე რაოდენობით გააჩნია, იგი ცენტრალური აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი თითქმის ყველა იმ ბუნებრივი აირის მილსადენის ცენტრში მდებარეობს, რომლებიც რეგიონალური ბაზრის მომავალ ათწლეულებს განსაზღვრავს.

თურქეთის ცნობადობას ენერგეტიკულ ბაზარზე ემატება მისი ზრდადი გავლენა, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთამაშის, ცენტრალურ აზიას, შუა აღმოსავლეთსა და ევროკავშირის შორის, რომლის წევრობასაც ანკარა ესწრაფვის.

სახელმწიფო მილსადენის კომპანიის BOTAS-ის ცნობით, პროგნოზის თანახმად, 2030 წლისათვის თურქეთის ბუნებრივ აირზე მოთხოვნა წელიწადში 47 მლრდ.კუბ.მ-დან 81 მლრდ.კუბ.მ-მდე გაიზრდება.

როგორც ოქსფორდის ენერჯეტიკული კვლევების ინსტიტუტის ანგარიშშია აღნიშნული, ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურაში (როგორცაა მაგალითად ახალი დანადგარები გათხევადებული ბუნებრივი აირისათვის (LNG) და საცავები) მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელების შემდეგ, გაზით ვაჭრობის პოტენციური წელიწადში 100 მლრდ.კუბ.მ-ს მიაღწევს.

„თურქეთი, როგორც გაზით ვაჭრობის კვანძი, შესაძლოა წარმოდგენილი იქნას ან ფიზიკური თვალსაზრისით - იმპორტ-ექსპორტის მილსადენებით, რომლებიც სხვა კვანძებთან დაკავშირებულია ინტერკონექტორებით, ან როგორც კომერციული კვანძი - ორმხრივი და ბროკერული გარიგებებით. ორივე შემთხვევაში აუცილებელია, თურქეთმა გამოაცალკევოს BOTAS-ის ტრანსპორტირებისა და საბითუმო ვაჭრობის ბიზნესები და შექმნას ენერჯის კომერციული ბირჟა,“ - ამბობს ინსტიტუტი.

ბირჟა ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს უზრუნველყოფს ფასების ჩამოყალიბების პროგნოზირებადი მექანიზმით. ეს ხელს შეუწყობს უცხოელი ინვესტორების ნდობის ამაღლებას, რომელთაც 2023 წლისათვის ენერჯეტიკაში 100 მილიარდ აშშ დოლარამდე ინვესტიცია უნდა განახორციელონ.

გათხევადებული ბუნებრივი აირის სავაჭრო კვანძის შექმნა რთული იქნება, რადგან ვაჭრობა, თურქეთში შემომავალი გაზის უმეტესობის მსგავსად, გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე ხდება ნავთობ-ინდექსებზე მიბმული ფასებით.

„კვანძის ხედვის განხორციელებისათვის აუცილებელია თურქეთში შესაბამისი გაზით სპოტ-ვაჭრობის შექმნა, რათა ჩამოყალიბდეს ფასების სანდო ინდექსი“, - ნათქვამია კვლევაში.

„მომწოდებლები გრძელვადიანი კონტრაქტებისათვის ნავთობ-ინდექსებიდან გადავლენ ფასების სავაჭრო ინდექსებზე“. ¹⁴

¹⁴<http://www.hurriyetdailynews.com/turkeys-gas-trading-hub-dream-realistic-study-.aspx?pageID=238&nID=62284&NewsCatID=348>